საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 21 ივნისის

დადგენილება №2051

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას
მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესი (იხ. დანართი);
2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2016–2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს დაამტკიცოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესი;
4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე წარადგენს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი გ. აბრამიშვილი;
5. დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს, ი.ლომიძეს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობაზე პედაგოგის გამოუცხადებლობისას მისი სხვა პედაგოგით შეცვლის წესი

1. პედაგოგი, რომელსაც შეექმნება დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები და მისთვის ცხადი გახდება, რომ ვერ შეძლებს მეცადინეობის ჩატარებას, ვალდებულია ამის შესახებ დროულად აცნობოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსს.
2. პედაგოგის გამოუცხადებლობისას შემცვლელის მიერ მეცადინეობის ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.
3. აკადემიურ დეპარტამენტში თითოეული ჩასატარებელი მეცადინეობისათვის (საათისათვის) განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგი, რომელიც მზად იქნება მეცადინეობების ცხრილით განსაზღვრული პედაგოგის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დროებით შეცვალოს იგი და ჩაატაროს მეცადინეობა; შემცვლელთა გვარები მითითებული უნდა იყოს აკადემიურ დეპარტამენტში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ ცხრილში.
4. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს ფაკულტეტის დეკანს.
5. ყოველი თვის 10 რიცხვამდე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის და ფაკულტეტის დეკანის ინფორმაციის/მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სწავლების დეპარტამენტი მოამზადებს ბრძანების პროექტს გასულ თვეში მეცადინეობის გამცდენი პედაგოგისათვის ხელფასის დაკავებისა და შემცვლელისათვის შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ.
6. მეცადინეობის გამცდენ პედაგოგს ხელფასიდან დაუკავდება თანხა მისი სახელფასო ნიხრის შესაბამისად.
7. შემცვლელის შრომის ანაზღაურება მოხდება მისი სახელფასო ნიხრის შესაბამისად.
8. სემესტრის განმავლობაში სამზე მეტი საკონტაქტო საათის არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში საკითხი შესასწავლად გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას, ხოლო მისი დასკვნის საფუძველზე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი მოამზადებს ბრძანების პროექტს მეცადინეობის გამცდენი პედაგოგისათვის დისციპლინური სახდელის შესახებ.
9. სემესტრის განმავლობაში აკადემიური დატვირთვის 70%-ზე მეტის შეუსრულებლობის ან ჩანაცვლების შემთხვევაში განიხილება პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი.